წამახალისებელი გათამაშების დეტალური პირობები

1. გათამაშების პერიოდი და თარიღი:

1.1. გათამაშება ჩატარდება 2014 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის 17 იანვის ჩათვლით.

1.2. გათამაშების ბილეთების დაგროვება მოხდება 2014 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

1.3. გამარჯვებულების გამოვლენა მოხდება ყოველთვიურად, სულ 3-ჯერ.

1.4. ყოველთვიური გათამაშება ჩატარდება: 17 ნოემბერს, 17 დეკემბერს და 17 იანვარს

2. გათამაშებაში მონაწილეები/მონაწილეობის მიღების აუცილებელი პირობა:

2.1. გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ და ბილეთების მისაღებად ქულების დაგროვებას შეძლებენ თიბისი ბანკის კლიენტები, რომლებიც დარეგისტრირდებიან ან უკვე რეგისტრირებულნი არიან ინტერნეტ ბანკის სერვისზე და გათამაშების პერიოდში განახორციელებენ ქვემოთჩამოთვლილი ქმედებიდან ერთს ან რამოდენიმეს:

- შევლენ ინტერნეტ ან მობაილ ბანკში;
- ინტერნეტ ან მობაილ ბანკით განახორციელებენ ტრანზაქციებს;
- ან ინტერნეტ ბანკით გახსნიან: ანაბარს, აიღებენ Prime Card-ს, განვადების ბარათს ან გაზრდიან საკრედიტო ლიმიტს;

2.2. გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე რეზიდენტი პირი;

2.3. გათამაშებაში მონაწილეობას არ მიიღებენ სს თიბისი ბანკის თანამშრომლები;

2.4. გათამაშების გამარჯვებულების გამოვლენა მოხდება დოლურის პრინციპით;

2.5. ყოველთვიური გათამაშებისას მოხდება კლიენტის მიერ, წინა კალენდარულ თვეში დაგროვილი ბილეთების ჩაყრა დოლურაში.

2.6. **1 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით** დაგროვილი ბილეთები მონაწილეობას მიიღებს 17 ნოემბრის გათამაშებაში.

2.7. **1 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით** დაგროვილი ბილეთები მონაწილეობას მიიღებს 17 დეკემბრის გათამაშებაში. აღნიშნულ გათამაშებაში მონაწილეობას არ მიიღებს წინა თვეში(ოქტომბერში)დაგროვილი ბილეთები.

2.8. **1 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით** დაგროვილი ბილეთები მონაწილეობას მიიღებს 17 იანვრის გათამაშებაში და ამასთან აღნიშნულ ბილეთებს დაემატება წინა თვეებში(ოქტომბერში და ნომებერში) დაგროვილი ბილეთებიც.

3. ბილეთების დათვლის პრინციპი:

3.1. 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, კლიენტებს შესაძლებლობა ექნებათ ყოველ კალენდარულ თვეში დააგროვონ გათამაშების ბილეთები.

3.2. გათამაშების ბილეთების დაგროვება შესაძლებელი იქნება შემდეგი ოპერაციების განხორციელებისას დაგროვილი ქულებით:

<u>ინტერნეტ ბანკის შემთხვევაში</u>

- **ინტერნეტბანკში შესვლა - 1 ქულა**
  (კლიენტი აღნიშნულ ქულას დააგროვებს კალენდარულ თვეში მხოლოდ ერთხელ, ანუ რამდენჯერაც არ უნდა შევიდეს კლიენტი ინტერნეტბანკში მიიღებს მხოლოდ 1 ქულას)

- **პირად ანგარიშებს შორის გადარიცხვა (მინიმუმ 5 ერთეულით) - 1 ქულა**
  (კლიენტი აღნიშნულ ქულას დააგროვებს კალენდარულ თვეში მხოლოდ ორჯერ, ანუ 1-ზე მეტ გადარიცხვაზე კლიენტი მიიღებს მაქსიმუმ 2 ქულას)

- **ნებისმიერი სხვა ტიპის გადარიცხვაზე (მინიმუმ 5 ერთეულით) – 1 ქულა**[1]
  გადარიცხვებში იგულისხმება:
  - თიბისი ბანკში სხვა კლიენტთან გადარიცხვა
  - სხვა ბანკში გადარიცხვა
  - საბიუჯეტო გადარიცხვა
  - მობილური ბალანსის შევსება
  - კომუნალური გადახდები
  - სხვა გადახდები (მაგ. ამანათის ტრანსპორტირება, ტოტალიზატორებში ბალანსის შევსება, დაზღვევის გადასახადი და გადახედების მენიუში არსებული ყველა სხვა გადახდა)
  - ჯარიმების გადახდა

- **ქვემოთ ჩამოთვლილი პროდუქტების შეძენა - 1 პროდუქტში 10 ქულა**[2]
  - ვადიანი ანაბარი;
  - ჩემი მიზანი;
  - ჩემი სეიფი;
  - საკრედიტო ან განვადების ბარათი;
  - საკრედიტო ლიმიტის ზრდა.

<u>მობაილ ბანკის შემთხვევაში,</u> ინტერნეტ ბანკთან შედარებით, კლიენტს 2-ჯერ მეტი ქულა ერიცხება. გამონაკლისია პროდუქტების შეძენა, რაც მხოლოდ ინტერნეტ ბანკით არის შესაძლებელი.

3.3. ბილეთების დაგროვების ფორმულა:
- **3 ქულა = 1 გათამაშების ბილეთს.**
- ერთ კლიენტს შესაძლებლობა აქვს კალენდარულ თვეში დააგროვოს **მაქსიმუმ 30 ქულა = 10 გათამაშების ბილეთი.**
- 17 იანვრის გათამაშებისთვის კლიენტს შესაძლებლობა აქვს დააგროვოს მაქსიმუმ 30 გათამაშების ბილეთი

3.4. დეტალური მაგალითი 1

კლიენტმა ***ოქტომბრის თვეში*** განახორციელა შემდეგი ტიპის და მოცულობის ტრანზაქციები, რომლითაც დააგროვა შემდეგი რაოდენობის ქულები/ბილეთები:

შევიდა ინტერნეტ ბანკში - 2-ჯერ	**1 ქულა**
შევიდა მობაილ ბანკში - 1-ჯერ	**2 ქულა**

[1] კომუნალურ და სხვა გადახდების შესრულებისას, ერთი და იგივე აბონენტზე დღეში რამოდენიმეჯერ გადახდის შემთხვევაში, ქულების დაგროვებაში ჩაითვლება მხოლოდ ერთი გადახდა. მაგალითად, თუ თელასის აბონენტზე #20456 დღის განმავლობაში ერთმა და იგივე კლიენტმა შეასრულა 3 გადახდა, ქულები დაუგროვდება მხოლოდ 1 გადახდისთვის.
[2] კალენდარული თვის განმავლობაში ერთი და იგივე პროდუქტის შეძენისას, ქულების დაგროვებაში ჩაითვლება მხოლოდ ერთი პროდუქტი. მაგალითად 2 ვადიანი ანაბრის ინტერნეტ ბანკით გახსნის შემთხვევაში, კლიენტს ქულების დაგროვების მიზნისთვის, ჩაეთვლება მხოლოდ 1 ანაბარი.

ინტერნეტ ბანკით შეივსო მობილურის ბალანსი - 1-ჯერ (3 ლარის ოდენობით)	**0 ქულა (რადგან ტრანზაქციის მოცულობა ნაკლებია 5 ლარზე)**
მობაილ ბანკით შეივსო მობილურის ბალანსი- 5-ჯერ (5 ლარის ოდენობით)	**10 ქულა**
მობაილ ბანკით გადაიხადა კომუნალური გადახდები - 7-ჯერ (თითოეული ტრანზაქცია იყო 5 ლარზე მეტი და ასევე არც ერთი დავალება არ იყო ერთსა და იმავე დღეს ერთი და იგივე აბონენტზე გადარიცხული)	**14 ქულა**
ინტერნეტ ბანკით გახსნა ანაბარი ჩემი მიზანი	**10 ქულა**
სულ	**37 ქულა , მაგრამ რადგან გათამაშების პირობის თანახმად კლიენტს შეუძლია მაქსიმუმ 30 ქულის დაგროვება კლიენტმა მიიღო <u>10 გათამაშების ბილეთი</u>**

3.5. დეტალური მაგალითი 2

იგივე კლიენტმა ***ნოემბერში*** განახორციელა შემდეგი ტიპის და მოცულობის ტრანზაქციები:

შევიდა მობაილ ბანკში - 3-ჯერ	**2 ქულა**
შევიდა ინტერნეტ ბანკში- 3-ჯერ	**1 ქულა**
ინტერნეტ ბანკით გადარიცხა პირად ანგარიშებს შორის გადარიცხვა - 10ჯერ (თითოეული 5 ერთეულის ოდენობით)	**2 ქულა** (ამ ოპერაციაზე ინტერნეტ ბანკით შეიძლება მაქსიმუმ 2 ქულის დაგროვება)
მობაილ ბანკით გადაიხადა კომუნალური დავალებები ჯამში 10 (საიდანაც ყველა დავალება შეასრულა 1 დღეს და ამასთანავე ყველა სხვადასხვა აბონენტზე)	**20 ქულა**
სულ	**25 ქულა = 8 ბილეთი (25/3)**

3.6. დეტალური მაგალითი 3

იგივე კლიენტმა **დეკემბრის** თვეში განახორციელა შემდეგი ტრანზაქციები და დააგროვა შემდეგი რაოდენობის ქულები.

შევიდა ინტერნეტ ბანკში - 1-ჯერ	**1 ქულა**
შევიდა მობაილ ბანკში - 1-ჯერ	**2 ქულა**
მობაილ ბანკით განახორციელა გარე გადარიცხვა - 1 ჯერ (10 ლარის ოდენობით)	**2 ქულა**

სულ	**5 ქულა = 1 ბილეთი (5/3)**

აღნიშნულმა კლიენტმა საფინალო გათამაშებისთვის დააგროვა ჯამში **19 გათამაშების ბილეთი**

4. გათამაშების პროცედურა:

4.1. აქციის პერიოდის განმავლობაში ბილეთების დაბეჭდვა და მათი გადაცემა გათამაშებაში მონაწილე კლიენტებისთვის არ განხორციელდება.

4.2. კლიენტი თვის განმავლობაში დაგროვებული ბილეთების რაოდენობას მომდევნო თვის დასაწყისში სმს-ით მიიღებს

4.3. დასაშვებია, რომ დოლურიდან ამოღებული ბილეთის მიხედვით ერთი და იგივე კლიენტი აღმოჩნდეს რამდენჯერმე გამარჯვებული.

4.4. წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორი სს თიბისი ბანკი ცალსახად აფიქსირებს, რომ მოგებული ნივთების სანაცვლოდ ფულადი თანხა არ გაიცემა

4.5. გამარჯვებულისთვის მოგებული არაფულადი პრიზების გადაცემა მოხდება თიბისი ბანკის სათაო ოფისში, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში.

4.6. იმისათვის, რომ კლიენტს გადაეცეს მოგებული არა ფულადი პრიზი აუცილებელი იქნება წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

4.7. მოგებული ფულადი პრიზის ჩარიცხვა მოხდება მოგებული კლიენტის მოქმედ სალარე ანგარიშზე.

4.8. მოგების გაცემა მოხდება გათამაშებიდან 30 კალენდარულ დღეში. მოგება უნდა გაიცეს მომგებიანი ბილეთის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 6 დღისა.

4.9. გათამაშებიდან 4 სამუშაო დღის განმავლობაში მოხდება მოგებულთან დაკავშირება ტელეფონით და მისი დაბარება მოგებული პრიზის გადასაცემად. თუ დაკავშირება ტელეფონით ვერ მოხერხდა, მოგებულს გაეგზავნება შეტყობინება ინტერნეტ ბანკის მეშვეობით.

5. პრიზები და გამარჯვებულის გამოვლენა

5.1. სულ გათამაშდება 300 პრიზი, ყოველთვიურად - 100.

5.2. ფინალურ გათამაშებაზე დამატებით თამაშდება სუპერპრიზი - 10,000 ლარი

პრიზი	**პირველი გათამაშება**	**მეორე გათამაშება**	**ფინალური გათამაშება**
სუპერპრიზი	-	-	10,000 ლარი
iPhone 6	1	1	1
iPad Mini2	1	1	1
Macbook Air	1	1	1
20 ლარი	67	67	66
50 ლარი	25	25	25
100 ლარი	5	5	5

6. პრეტენზიების წარდგენა:

6.1. გათამაშებასთან დაკავშირებით უკმაყოფილების შემთხვევაში კლიენტს უფლება აქვს ბანკს მიმართოს პრეტენზიით.

6.2. პრეტენზიის სტანდარტული ფორმის მიღება შესაძლებელია ბანკის ფილიალებსა და სერვის ცენტრებში, ასევე ბანკის ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge.

6.3. კლიენტის პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა 30 კალენდარული დღე სათანადო ფორმით შედგენილი წერილობითი პრეტენზიის ბანკის მიერ მიღების მომენტიდან.

6.4. პრეტენზიას განიხილავს სს „თიბისი ბანკის“ მომხმარებელთა პრეტენზიების განხილვის სამსახური.

6.5. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ კლიენტს ეცნობება წერილობით ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალებით (ელექტრონული, ციფრული ან სხვა).

6.6. პრეტენზიის განხილვის პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ბანკის ინტერნეტ-გვერზე www.tbcbank.ge და ტელეფონის ნომერზე: 227 27 27.